

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს

წმიდა კეთილმსახური მეფე

თამარის სახელობის

სკოლა-პანსიონი

ხედვა

ზოგადი და პროფესიული განათლების (სამივე საფეხურზე) განვითარების ხელ-შეწყობა, განახლებული სასწავლო და პროფესიული პროგრამების გამართული ინფრა-სტრუქტურისა და ადეკვატური აღჭურვილობის მეშვეობით შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, სახელობო და სახელოვნებო განათლების მქონე კვალიფიციური მოზარდის მომზადება, რომელსაც ექნება პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა ერთი მესამედის ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებას და თვითდასაქმებას ადგილობრივი მოთხოვნების შესაბამისად. მუსლიმან და ქრისტიან ქართველ ბავშვთა თანაცხოვრება, შემდგომში ინტეგრირების მიზნით

მისია

ზოგადი და პროფესიული განათლების სამივე საფეხურზე მოსწავლეებს მისცეს მრავალმხრივი განათლება. აღზარდოს ეროვნული, კულტურულ-მემკვიდრეობითი, ტრადიციული ღირებულებების ღირსეული პიროვნება, რომელიც იქნება ქვეყნის ინტერესების დამცველი; შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებულ მოსწავლეებს განუვითაროს მუსიკალური, ხალხური რეწვის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სპეციალობებისათვის აუცილებელი საგანმანათლებლო უნარ-ჩვევები, მოახდინოს მუსლიმან ქრისტიან ქართველ ბავშვთა თანაცხოვრება-ინტეგრირება, ხელი შეუწყოს მოსწავლეებს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებაში, მომავალი განვითარების გზის სწორად არჩევაში, თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებაში დამკვიდრებასა და შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმებაში, კონკურენტუნარიანობის გაზრდაში ხელშეწყობას.